საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს „ნ. ბ.“-ის (ს/კ) დირექტორი ს. ლ. და შპს „ნ. ბ.“-ის წარმომადგენელი ნ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.04.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 022/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ლ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ლ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 11 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს შპს ნ. ბ.-ის დირექტორმა ს. ლ.-მა და წარმომადგენელმა ნ. ხ.-მ. საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს ადვოკატ ნ. ლ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. შპს ,,ნ. ბ.“-ის წარმომადგენლებმა: ს. ლ.-მა და ნ. ხ.-მ მონაწილეობა მიიღეს 2022 წლის 7 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომასა და ამავე წლის 5 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაში და დაადასტურეს წერილობით საჩივარში აღწერილი გარემოებები.

1.2 საჩივრის ავტორების განმარტებით, შპს ,,ნ. ბ.“-ში ადვოკატმა ნ. ლ.-მა 2019 წლის მარტის თვიდან დაიწყო მუშაობა იურისტის პოზიციაზე. შპს ,,ნ. ბ.“ წარმოადგენს სასესხო კომპანიას და ადვოკატ ნ. ლ.-ს ევალებოდა კომპანიისათვის სესხის ხელშეკრულებების; გასავლისა და შემოსავლის ორდერებისა და სხვა იურიდიული დოკუმენტების შედგენა; ასევე კომპანიის წარმომადგენლობა სასამართლოსა და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში საქმისწარმოებისას.

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, შპს ,,ნ. ბ.“თვეში გასცემდა დაახლოებით 10-15 სესხს. ადვოკატი ნ. ლ. მონაწილეობდა ყველა სესხის გაცემის პროცესში და კომუნიკაცია ჰქონდა მსესხებლებთან.

1.4 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატი ნ. ლ. საჩუქრებს იღებდა მსესხებლებისგან და ჰპირდებოდა მათ კომპანიასთან საქმის მოგვარებას.

1.5 საჩივრის ავტორების განმარტებით, ნ. ლ. შეუთანხმდა ერთ-ერთ მსესხებელს - მ. თ.-ს და კომპანია ,,ნ. ბ.“-ის წინააღმდეგ დაწყებულ დავაში გახდა მისი წარმომადგენელი. საჩივრის ავტორების განმარტებით, მ. თ.-თან დავა დღემდე გრძელდება სხვადასხვა ორგანოში, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და შსს ფინანსთა სამინისტროში, სადაც მის ინტერესებს, კომპანიის წინააღმდეგ, იცავს ადვოკატი ნ. ლ. ს. ლ.-სა და ნ. ხ.-ს განმარტებით, ადვოკატმა ნ. ლ.-მა მ. თ.-ს გააცნო კომპანიის სტრატეგია - თუ რა ხერხებს მიმართავდა კომპანია ვალის ამოსაღებად აღსრულების ეროვნულ ბიუროში და გაუმხილა მას კონფიდენციალური ინფორმაცია.

1.6 საჩივრის ავტორებმა, 2022 წლის 5 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დააზუსტეს, რომ ადვოკატმა ნ. ლ.-მა მათთან მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, არამართლზომიერად გამოიყენა კომპანიის მინდობილობა და აღსრულების ეროვნული ბიუროდან გამოითხოვა მ. თ.-ის საქმე.

1.7 საჩივრის ავტორების პოზიციით, ადვოკატმა ნ. ლ.-მა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი კონფიდენციალობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების პრინციპები და ითხოვენ მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2022 წლის 21 მარტს ადვოკატმა ნ. ლ.-მა წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ს. ლ.-ის და ნ. ხ.-ს მიერ წარმოდგენილ საჩივარს არ ეთანხმება, რადგან მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეთიკის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი. 2022 წლის 7 ივნისს ადვოკატი ნ. ლ. დაესწრო საპროცესო კოლეგიის სხდომას, ხოლო ამავე წლის 5 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო განხილვის კოლეგიის სხდომაში, სადაც დაადასტურა წერილობით ახსნა-განმარტებაში აღწერილი გარემოებები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის 2020 წლის მარტის თვიდან აღარ მუშაობს შპს ,,ნ. ბ.“ -ში. მ. თ.-მა მას იურიდიული კონსულტაციის მისაღებად მიმართა 2021 წლის სექტემბრის თვეში, რის შემდეგაც 2021 წლის 15 ოქტომბერს, მ. თ.-მა გაუფორმა მინდობილობა. მ. თ.-ის მიმართ დაწყებული იყო გამარტივებული საქმისწარმოება 2020 წლის 5 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ადვოკატის განცხადებით, შპს ,,ნ. ბ.“ -ში მისი მუშაობის პერიოდში აღნიშნულ საქმეზე მ. თ.-სა და კომპანიას შორის სესხის ხელშეკრულება გაფორმებული არ ყოფილა, აქედან გამომდინარე, მას, როგორც კომპანიის იურისტს, 2020 წლის 5 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულების საქმეზე ურთიერთობა ვერ ექნებოდა მ. თ.-სთან. ადვოკატი განმარტავს, რომ ის

ვერ დაარღვევდა ეთიკის სტანდარტებს იმ საქმეზე, რომელსაც კომპანიაში მუშაობის დროს არ იცნობდა და მეტიც, ასეთი არც არსებობდა. ნ. ლ.-ის განცხადებით, მან იცოდა, რომ მისი კომპანიაში საქმიანობის დროს, მ. თ.-ს სხვა ხელშეკრულებაც ჰქონდა გაფორმებული კომპანიასთან, თუმცა ის სესხი დაფარა და აღნიშნულ საქმეზე მას კომუნიკაცია არ ჰქონია მოვალესთან. ასევე, ის არ ყოფილა კომპანიის წარმომადგენელი რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოსთან ან სასამართლოსთან ურთიერთობაში მ. თ.-ის პირველ სესხთან დაკავშირებით.

2.3 ადვოკატმა ნ. ლ.-მა 2022 წლის 5 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა, რომ მან მ. თ.-ის სახელით, 2021 წლის ოქტომბრის თვეში შეადგინა განცხადება და წარადგინა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში. მ. თ. ის პრეტენზია მიმართული იყო საჩივრის ავტორების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე. ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ის მ. თ.-ს ვერ გაუმხელდა კომპანიის სამოქმედო სტრატეგიას, ვინაიდან საჩივრის ავტორებს მისთვის არავითარი სტრატეგია არ გაუმხელიათ. ის კლიენტს ესაუბრა გამარტივებული საქმისწარმოებისა და იძულებითი აღსრულების თავისებურებებზე და მ. თ.-მა აღსრულების ეროვნული ბიუროში თავად დაწერა განცხადება და გამოითხოვა სესხის გადახდის ამონაწერი, რომელზე დაყრდნობითაც აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილმა თანამშრომელმა შეამცირა სესხის თანხა, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ საჩივრის ავტორები იმაზე მეტ თანხას ითხოვდნენ, ვიდრე მიღების უფლების ჰქონდათ. ადვოკატმა დააზუსტა, რომ კლიენტის სახელით, 2021 წლის ნოემბრის თვეში განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, სადაც ითხოვდა ცნობას, რომ მ. თ.-ის ქონებაზე აუქციონი არ იყო ჩანიშნული და კლიენტის საქმეზე მინდობილობა წარადგინა 2022 წელს.

2.4 ადვოკატმა ნ. ლ.-მა 2022 წლის 5 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ის მ. თ.-ის ინტერესებს იცავდა აღსრულების ეროვნული ბიუროდან მ. თ.-ის მიერ გამოთხოვილი საქმის მასალებითა და მ. თ.-თან არსებული დოკუმენტაციის და არა კომპანიაში მუშაობისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნულ საქმეზე მას კომპანიიდან არავითარი ინფორმაცია არც ამ კონკრეტულ და არც სხვა რომელიმე საქმეზე არ მიუღია. ადვოკატმა დააზუსტა, რომ მის მოვალეობას წარმოადგენდა საჩივრის ავტორებისათვის იურიდიული დოკუმენტების: ხელშეკრულებების, ორდერების და ა.შ. ფორმების შედგენა და გართულებულ საქმეებზე, სესხის ამოღების მიზნით, მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება. აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და სასამართლოში საჩივრის ავტორები თავად ეწეოდნენ წარმომადგენლობას და მისთვის არავითარი განსაკუთრებული ინფორმაცია არ გაუმჟღავნებიათ.

2.5 ნ. ლ.-ის განცხადებით, საჩივრის ავტორები განზრახ, არასწორ ინფორმაციას აწვდიან ეთიკის კომისიას, კერძოდ, ს. ლ. და ნ. ხ. აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ურთიერთობისას ყოველთვის თვითონ წარმოადგენდნენ კომპანიის ინტერესებს და მან, მხოლოდ ერთხელ - 2019 წლის 4 სექტემბერს, საჩივრის ავტორების დავალებით, წარადგინა განცხადება აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ფ. რ.-ის საქმეზე, რომელსაც თან დაურთო კომპანიის მიერ გაცემული მინდობილობა. აღნიშნული განცხადების გარდა, საქმის მასალები მოამზადეს და აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარადგინეს თავად საჩივრის ავტორებმა. 2022 წლის 5 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ნ. ლ.-მა დაადასტურა, რომ მან ნამდვილად მიიტანა აღსრულების ეროვნულ ბიუროში გამარტივებული საქმისწარმოების დაწყების შეტყობინების

ჩაბარების დასტური, თუმცა საქმეზე დოკუმენტაცია მას არ მოუმზადებია, და არ წარუდგენია აღსრულების ეროვნულ ბიუროში. რესპონდენტის მიმართ საქმე მოამზადეს და აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარადგინეს უშუალოდ საჩივრის ავტორებმა, რისი დადასტურებაც მარტივად შეიძლება აღსრულების ეროვნული ბიუროდან გამოთხოვილი დოკუმენტების საფუძველზე, ვინაიდან მიღების ბარათებზე, სწორედ საჩივრის ავტორების ხელმოწერებია.

2.6 ადვოკატმა უარყო კომპანიის მიერ გაცემული მინდობილობის გამოყენების ფაქტი და განმარტა, რომ 2020 წლის მარტში მან მოსთხოვა საჩივრის ავტორებს მინდობილობის გაუქმება და დააზუსტა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროდან დოკუმენტები მ. თ.-მა თავად გამოითხოვა. ადვოკატმა დააზუსტა, რომ მან ზეპირი კომუნიკაციისას გადაამოწმა აღსრულების ბიუროში მის მიერ განხორციელებული მოქმედებები და უფლებამოსილი თანამშრომლის პასუხზე დაყრდნობით იცოდა, რომ ის მ. თ.-ის ძველ საქმეზე საქმისწარმოებაში ჩართული არ ყოფილა.

2.7 2022 წლის 5 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ნ. ლ.-მა დაადასტურა, რომ მისი კომპანიაში მუშაობის დროს, თუ საჩივრის ავტორები წარმომადგენლობას სთხოვდნენ სასამართლოში ან სხვა ადმ. ორგანოსთან ურთიერთობაში, ის შეასრულებდა დამსაქმებლების დავალებას, თუმცა ასეთი დავალება მას არ მიუღია.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2021 წლის 27 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ლ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა ნ. ლ.-მა ყოფილი კლიენტის - კომპანია ნ. ბ. -ის მსესხებლის მ. თ. ის ამავე კომპანიის წინააღმდეგ, სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიურო“-ს და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში წარმომადგენლობით შესაძლოა დარღვეული იყოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტი და ეთიკის კოდექსის 4.1 და 6.1 მუხლები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1 შპს ,,ნ. ბ.“-მა ადვოკატ ნ. ლ.-ს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა 2019 წლის 20 ივნისს. მინდობილობა გაიცა სამი წლის ვადით. ადვოკატმა ნ. ლ.-მა შპს ,,ნ. ბ.“ -ს სამართლებრივი მომსახურება შეწყვიტა 2020 წლის მარტის თვეში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2019 წლის 20 ივნისის მინდობილობა, სადაც მარწმუნებელია შპს ,,ნ. ბ.“ , ხოლო რწმუნებულს წარმოადგენს ადვოკატი ნ. ლ.;

მხარეთა ახსნა-განმარტება.

4.2 ნ. ლ.-სა და მ. თ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2021 წლის 29 სექტემბერს. ნ. ლ.-ს მ. თ.-ისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია 2020 წლის 5 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. 2022 წლის 18 მარტის მდგომარეობით, აღნიშნული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებაა სრულადაა შესრულებული - თანხა სრულადაა გადახდილი და აღსრულების ეროვნულ ბიუროში აღარ მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2021 წლის 29 სექტემბრის მინდობილობა, სადაც მარწმუნებელია მ. თ., ხოლო რწმუნებულია ადვოკატი ნ. ლ.;

აღსრულების ეროვნულ ბიუროში, საქმეზე N21105213 მ. თ. ის მიერ წარდგენილი 2020 წლის 5 ოქტომბრის სასესხო ამონაწერი;

ადვოკატ ნ. ლ. ის მიერ აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2022 წლის 22 თებერვალს წარდგენილი განცხადება საქმეზე N21105213;

აღსრულების ეროვნული ბიუროს 2022 წლის N19403 განცხადება;

მხარეთა ახსნა-განმარტება.

4.3 მ. თ.-სა და შპს ,,ნ. ბ.“ -ს შორის 2019 წელს არსებობდა სასესხო ურთიერთობა, რომელიც სრულად დაფარა მოვალე მ. თ.-მა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2019 წლის სესხისა და თავდებობის ხელშეკრულება;

მხარეთა ახსნა-განმარტება.

4.4 მ. თ.-მა თავად გამოითხოვა საქმე სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-დან.
განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
მ. თ. ის მიერ აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2021 წლის 22 ნოემბერს წარდგენილი განცხადება N21105213-008;
ადვოკატის ახსნა-განმარტება.

4.5 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტია:

4.5.1 მიაწოდა თუ არა ადვოკატმა ნ. ლ. მა შპს ნ. ბ. -ის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია მ. თ.-ს და მ. თ.-ისათვის სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-სა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში საადვოკატო მომსახურების გაწევით დაარღვია თუ არა ინტერესთან კონფლიქტის არიდების ეთიკური სტანდარტი.

საპროცესო კოლეგიამ გაიზიარა ადვოკატ ნ. ლ.-ის პოზიცია, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ნ. ლ. წარმოადგენდა მ. თ.-ის ინტერესებს და უწევდა მას წარმომადგენლობას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, ასევე აღსრულების ეროვნულ ბიუროში კლიენტის სახელით წარადგინა განცხადება, თუმცა მას მ. თ. -ის წარმომადგენლობით არ დაურღვევია

ეთიკის კოდექსის სტანდარტები. განხილვის კოლეგიამ შეისწავლა მტკიცებულებები და დაეყრდნო ფაქტს, რომ ნ. ლ. მ. თ.-ს საადვოკატო მომსახურებას უწევდა არა 2019 წლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ ვალდებულებაზე, რა დროსაც ის მუშაობდა შპს ,,ნ. ბ.“-ში, არამედ 2020 წლის 5 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სასესხო ვალდებულებაზე, რა დროსაც ის უკვე აღარ უწევდა სამართლებრივ მომსახურებას კომპანიას. ამავე ხელშეკრულების საფუძველზე არსებულ ვალდებულებას უკავშირდებოდა წარმომადგენლობა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე წარმოებაზე. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ ადვოკატმა ნ. ლ.-მა მ. თ.-ს საადვოკატო მომსახურება გაუწია მაშინ, როდესაც შპს ,,ნ. ბ.“ -თან აღარ აკავშირებდა საქმიანი ურთიერთობა. ადვოკატი ნ. ლ. მ. თ.-ს წარმოადგენდა არა 2019 წლის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ სასესხო ვალდებულებაზე, არამედ, მეორე სესხთან დაკავშირებით, რომელიც მოვალემ კომპანიისაგან 2020 წლის ოქტომბრის თვეში, ადვოკატის მიერ კომპანიასთან თანამშრომლობის შეწყვეტიდან 7 თვის შემდეგ აიღო. თავის მხრივ, წარმომადგენლობა მოიცავდა აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან კომუნიკაციასა და ფინანსთა სამინისტროში განცხადების წარდგენას, სწორედ 2020 წლის 5 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ადვოკატ ნ. ლ.-ს არ დაურღვევია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა და კონფიდენციალურობის დაცვის ეთიკური სტანდარტები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2021 წლის 29 სექტემბრის მინდობილობა, სადაც მარწმუნებელია მ. თ., ხოლო რწმუნებულია ადვოკატი ნ. ლ.;

აღსრულების ეროვნულ ბიუროში, საქმეზე N21105213 მ. თ. ის მიერ წარდგენილი 2020 წლის 5 ოქტომბრის სასესხო ამონაწერი;

ადვოკატ ნ. ლ.-ის მიერ აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2022 წლის 22 თებერვალს წარდგენილი განცხადება საქმეზე N21105213;

აღსრულების ეროვნული ბიუროს 2022 წლის N19403 განცხადება;

ადვოკატის ახსნა-განმარტება.

საქმის მასალების შესწავლით, განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-სა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში 2020 წლის 5 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არსებულ საქმისწარმოებებში მ. თ. ის წარმომადგენლობით, ადვოკატ ნ. ლ.-ს არ დაურღვევია პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტები.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ლ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 დასახელებულ საქმეზე, დისციპლინური საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნა დაწყებულია ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდებისა და კონფიდენციალობის დაცვის ეთიკური სტანდარტის შესაძლო დარღვევაზე („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის დ) ქვეპუნქტი და ეთიკის კოდექსის 4.1 და 6.1 მუხლები).

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლის დ) ქვეპუნქტი).

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით („ეთიკის კოდექსი“, მუხლი 4.1.).

ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

5.2 კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა არის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება, რომელიც ადვოკატის მხრიდან განუხრელად უნდა იქნეს დაცული და კონფიდენციალური ინფორმაცია არ უნდა იქნეს გამჟღავნებული ადვოკატის მიერ საქმიანობის განხორციელების ნებისმიერ სტადიაზე, რადგან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლო ფაქტიც კი, ლახავს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ადვოკატი რეპუტაციას, არამედ ჩრდილს აყენებს მთლიანად ადვოკატთა კორპუსს და ნდობას უკარგავს ადვოკატის პროფესიის როლს საზოგადოებაში. შესაბამისად, კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, რომ ადვოკატებმა განსაკუთრებული ყურადღება და გულმოდგინება გამოიჩინონ და კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ გაამჟღავნონ, მათი პირადი დამოკიდებულების მიუხედავად.

5.3 კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შემოსაზღვრული დროში, წარმომადგენლობის დასრულების შემდეგაც კომპანიის პარტნიორის ინტერესების დაცვის დაწყებამდე, ადვოკატმა უნდა შეამოწმოს, ხომ არ ექმნება საფრთხე პირველი მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას ახალ დავაში პარტნიორის ინტერესების კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად დაცვისას. კლიენტი ანდობს მისი საქმის თაობაზე ინფორმაციას ადვოკატს ეფექტური იურიდიული მომსახურების უზრუნველსაყოფად. „კლიენტისათვის ეს არის წამახალისებელი ფაქტორი, რათა მოიძიოს იურიდიული დახმარება და სრულყოფილად და გულწრფელად დაამყაროს კომუნიკაცია, მიაწოდოს ინფორმაცია ადვოკატს ნებისმიერ საკითხზე, რამდენადაც უხერხული და სამართლებრივად საზიანო არ უნდა იყოს ეს მისთვის“ (იხ. ჯეიმს

მოლიტერნო, ჯორჯ ჩ.ჰარისი, „ადვოკატთა პროფესიული გლობალური საკითხები“, თბილისი, 2014 წ. გვ.116).

5.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №092/10 მიუთითა: „ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.“

5.5 საპროცესო კოლეგიის პოზიციით, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა ნ. ლ.-მა შპს ,,ნ. ბ.“ -ის წინააღმდეგ მ. თ.-ის წარმომადგენლობით დაარღვია კონფიდენციალურობის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ეთიკური სტანდარტები.

5.6 განხილვის კოლეგია არ იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას. განხილვის კოლეგიის შეფასებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ნ. ლ.-მა საადვოკატო მომსახურება გაუწია ყოფილი კლიენტის - კომპანია ,,ნ. ბ.“ -ის მოვალე მ. თ. ს არ წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის საფუძველს. დასახელებულ შემთხვევაში კომისიამ უნდა შეაფასოს ყოფილი კლიენტისაგან - კომპანიისაგან მიღებული რა კონფიდენციალური ინფორმაცია გამოიყენა ადვოკატმა ნ. ლ.-მა მ. თ.-ის ინტერესების წარმოდგენის პროცესში.

5.7 კოლეგია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მ. თ.-სა და კომპანიას შორის არსებობდა ორი სასესხო ვალდებულება, კერძოდ, მ. თ.-მა კომპანიას სესხის სახით ფულადი თანხის მისაღებად, მიმართა ორჯერ: 2019 წელს, როდესაც ნ. ლ. კვლავ კომპანიის თანამშრომელი იყო და 2020 წლის ოქტომბრის თვეში, ნ. ლ.-ის მიერ კომპანიასთან საქმიანი ურთიერთობის გაწყვეტიდან 7 თვის გასვლის შემდეგ. განხილვის კოლეგიამ მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინა, რომ ადვოკატი ნ. ლ. მ. თ.-ის ინტერესებს წარმოადგენდა 2020 წლის 5 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში. ადვოკატმა ახალი კლიენტის - მ. თ.-ის ინტერესების დაცვა დაიწყო 2021 წლის 29 სექტემბერს, რაც დასტურდება ამავე თარიღის ნოტარიული წესით შედგენილი და დამოწმებული მინდობილობით, სადაც მარწმუნებელია მ. თ., ხოლო რწმუნებულია ადვოკატი ნ. ლ. მინდობილობით, ადვოკატ ნ. ლ.-ს მიენიჭა უფლებამოსილება მ. თ.-ის ინტერესები წარმოედგინა სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციულ საქმეებზე, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, მათ შორის სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში. ნ. ლ.-მა განხილვის კოლეგიის 2022 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე დაადასტურა, რომ 2020 წლის 5 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქმეზე, აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარადგინა მინდობილობა და გამოითხოვა ინფორმაცია მ. თ.-ის ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შემოწმების მიზნით. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ დასახელებული დროის მონაკვეთში, კომპანიასა და ნ. ლ.-ს შორის დასრულებული იყო სამართლებრივი ურთიერთობა და კომპანიას აღარ გააჩნდა მოლოდინი, რომ ადვოკატ ნ. ლ.-ს შესაძლოა კვლავ ეწარმოებინა მათი საქმე. ცალსახაა, რომ ადვოკატი ნ. ლ. მ. თ.-ის წარმომადგენლობას უწევდა ისეთ საქმეზე, რომელიც მის მიერ კომპანიისაგან წამოსვლის შემდეგ დაიწყო და შეუძლებელია მას აღნიშნულ საქმეზე ჰქონოდა კომპანიისაგან კონფიდენციალური ინფორმაცია, ვინაიდან 2019 წლისა და 2020 წლის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საქმეები

ერთმანეთს არ უკავშირდებოდა. კომპანიასა და მსესხებელს შორის წარმოიშვა ახალი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა. შესაბამისად, დასახელებული მიზეზი ვერ გახდებოდა ინტერესთა კონფლიქტის საფუძველი.

5.8 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ როდესაც მხარე დავობს კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევაზე, მას ეკისრება მოპასუხე ადვოკატის სადავო ქცევის დადასტურება, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით კომისიას უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი, რომ სადავო ქმედება, რაც სამართლებრივად უნდა შეაფასოს ეთიკის კომისიამ ჩაიდინა მოპასუხე ადვოკატმა.

5.9 განხილვის კოლეგია იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებას საქმეზე Nას-521-2022, რომლის მიხედვით: „გარემოება შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, თუ ერთი მხარე მიუთითებს მასზე და მეორე მხარე არ ეწინააღმდეგება ამ მითითებას. ეს იმას ნიშნავს, რომ შეჯიბრებითი პრინციპის საფუძველზე, მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის წააგებს დავას.“ დასახელებულ შემთხვევაში ადვოკატმა ნ. ლ. მა სრულად უარყო საჩივრის ავტორების პრეტენზიები. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ „მაშინ, როდესაც მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე 166/18, პარ. 6.4). საპროცესო ეტაპისაგან განსხვავებით, განხილვის ეტაპზე მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტი მოქმედებს. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე №ას-872-830-2013, რომლის მიხედვითაც ,,კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე“.

5.10 მოცემულ შემთხვევაში, საქმის გამოკვლევისას დადგინდა, რომ ადვოკატმა ნ. ლ.-მა კლიენტს გაუწია კონსულტაცია და გააცნო აღსრულების ეროვნულ ბიუროში საქმისწარმოების თავისებურებები. აღსრულების ეროვნულ ბიუროში საქმისწარმოება მიმდინარეობს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. შესაბამისად, იძულებითი აღსრულებისა და გამარტივებული წარმოების წესები, მხარეთა თუ სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია კანონით და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებები სრულად უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. აღსრულების ეროვნულ ბიუროში საქმისწარმოებისას მხარე მოქმედებს კანონით დადგენილი ვიწრო ჩარჩოს გამოყენებით და შეუძლებელია განსხვავებული წესით საქმისწარმოების პროცესზე ზეგავლენის მოხდენა. შესაბამისად, ადვოკატი ნ. ლ., ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ადვოკატი, მ. თ.-ისათვის კონსულტაციის გაწევისას ხელმძღვანელობდა საკუთარი პროფესიული ცოდნით. საქმის განხილვისას საჩივრის ავტორებმა ვერ მიუთითეს ადვოკატის მიერ სამართლებრივი ნორმების ცოდნის გარდა, რა კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლებოდა გაეცა ადვოკატ ნ. ლ.-

ს, რაც გავლენას მოახდენდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში საქმისწარმოებაზე. განხილვის კოლეგიის მიერ საქმის შესწავლისას დადგინდა, რომ მ. თ. -მა აღსრულების ეროვნული ბიუროდან გამოითხოვა საქმისწარმოების მასალები, რომელთა შესწავლის შემდეგ მოითხოვა გადასახდელი თანხის შემცირება, რაც დაკმაყოფილდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მიხედვით: „სააღსრულებო წარმოების მხარეს უფლება აქვს, გაეცნოს სააღსრულებო საქმის მასალებს და მიიღოს მათი ასლები, გარდა კომერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური დოკუმენტებისა და მათი ასლებისა, ხოლო სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირს უფლება აქვს, გაეცნოს იმ სააღსრულებო საქმის მასალებს და მიიღოს მათი ასლები, რომლებიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის უფლებაზე ან/და კანონიერ ინტერესზე, გარდა კომერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური დოკუმენტებისა.“ კოლეგია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო არ გასცემს ისეთ ინფორმაციას, რომლის გაცემაც კონფიდენციალურობის პრინციპითაა აკრძალული. საქმისწარმოების მასალების გაცნობა არ წარმოადგენს კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევას. კლიენტის დასაცავად მნიშვნელოვანია, ადვოკატი იცნობდეს საქმის მასალებს და მათი შესწავლის საფუძველზე ააგოს კლიენტის დაცვის სტრატეგია. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ნ. ლ.-ის მიერ მ. თ.-ისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა ვერ ჩაითვლება კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევად, ვინაიდან სააღსრულებო წარმოება სრულად ემყარება კანონით მკაცრად განსაზღვრული წესებს და მოცემულ შემთხვევაში მხარეები ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებისას იბოჭებიან კანონით დადგენილი მკაცრი წესებითა და მოთხოვნებით; კოლეგიისათვის უცნობია რა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლებოდა გაეცა ადვოკატ ნ. ლ. -ს, თუმცა ფაქტია, რომ ადვოკატმა გამოიყენა პროფესიული გამოცდილება, რაც არ ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის კოდექსს. ამასთან, აღსრულების ეროვნული ბიუროს 2022 წლის 18 მარტის N19403 წერილის თანახმად, მ. თ.-მა სრულად დაფარა 2022 წლის 5 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო თანხა, რაც კომპანიის სასარგებლო მოქმედებას წარმოადგენს სრულად შეესაბამება კომპანიის ინტერესს.

5.11 კომისიამ იმსჯელა საჩივრის ავტორების პრეტენზიაზე, რომ ადვოკატმა ნ. ლ.-მა გამოიყენა მათ მიერ გაცემული მინდობილობა და გარდა ამისა, განცხადება წარადგინა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში.

5.12 კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისი უწყებისათვის მიმართვა არ წარმოადგენს ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტის დარღვევას, მითუმეტეს, რომ საგამოძიებო სამსახურში განცხადების წარდგენა ეფუძნებოდა 2020 წლის 5 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე არსებულ ვალდებულებას. მ. თ.-ს სრული უფლება ჰქონდა საკუთარი ინტერესები დაეცვა შესაბამისი ორგანოსათვის მიმართვით. აღნიშნული მოქმედების განხორციელების წარმომადგენლისათვის მინდობა და ადვოკატის მიერ კლიენტის მითითებებისა და ინტერესების შესაბამისი მოქმედება, აღნიშნული გადაწყვეტილების 5.8 და 5.11 პუნქტებში ასახული მსჯელობის შესაბამისად, ვერ ჩაითვლება პროფესიული ეთიკის სტანდარტების დარღვევად. განხილვის კოლეგიამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ შპს „ნ. ბ.“ -მა 20.06.2019 წელს სამი წლის ვადით გასცა მინდობილობა ადვოკატ ნ. ლ.-ზე. მ. თ.-სა და ადვოკატ ნ. ლ.-ს შორის

სამართლებრივი ურთიერთობა დაიწყო 29.09.2021 წელს. მიუხედავად მინდობილობის ძალაში ყოფნისა, მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა 2020 წელს - მარტის თვიდან ნ. ლ. აღარ მუშაობდა კომპანიაში და აღარ იღებდა კომპანიიდან ანაზღაურებას. თავის მხრივ, საჩივრის ავტორებმა განმარტეს, რომ ისინი არ არიან იურისტები და არ ჰქონდათ მინდობილობის გაუქმებაზე შესაბამისი ინფორმაცია. კოლეგია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ იურისტის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირისაგან მიეღოთ ინფორმაცია მინდობილობის გაუქმებაზე და საკუთარი ინტერესების დასაცავად, ასეთი დოკუმენტი შესაბამის უწყებებში წარედგინათ. საჩივრის ავტორებისაგან განსხვავებით, ადვოკატი მოკლებული იყო შესაძლებლობას დამოუკიდებლად გაეუქმებინა მასზე გაცემული მინდობილობა, თუმცა მან აღნიშნა, რომ მინდობილობის გაუქმება მოსთხოვა საჩივრის ავტორებს, რაც მათ არ შეასრულეს და დააზუსტა, რომ კომპანიასთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მინდობილობა კომპანიას დაუტოვა და არსად გამოუყენებია ის. მხარეებმა განსხვავებული ახსნა-განმარტება წარმოადგინეს მინდობილობის გამოყენებაზე. გარდა ახსნა-განმარტებისა, მომჩივან მხარეს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ ადვოკატმა ნ. ლ.-მა გამოიყენა მათ მიერ გაცემული მინდობილობა. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება აღნიშნული ფაქტი.

5.13 განხილვის კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორებს ეკისრებოდათ პოზიტიური ვალდებულება, სარწმუნო, დამაჯერებელი და უტყუარი მტკიცებულებებით დაედასტურებინათ მათ მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები, რაც მათ არ გაუკეთებიათ. საჩივრის ავტორებმა მტკიცებულებებით ვერ დაადასტურეს რა კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა შეეძლო ადვოკატ ნ. ლ.-ს აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში საქმისწარმოებისას. საქმის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მ. თ.-ის ინტერესების წარმოდგენისას, ადვოკატი ნ. ლ. სამართლებრივ მომსახურებას აღარ უწევდა კომპანიას და მათ შორის განვითარებული მოვლენების მიხედვით, კომპანიას ვერ ექნებოდა მოლოდინი, რომ ადვოკატი კვლავ გააგრძელებდა მათთვის იურიდიული მომსახურების გაწევას; ადვოკატი ნ. ლ.-მ. თ. ს სამართლებრივ მომსახურებას უწევდა ისეთ ახალ საქმეზე, რომელიც არ უკავშირდებოდა ნ. ლ.-ის კომპანიაში მუშაობის პერიოდში წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც თავის მხრივ დასრულებული იყო 2021 წლისთვის; ნ. ლ.-მა ახალი კლიენტის წარმომადგენლობისას გამოიყენა საკუთარი პროფესიული ცოდნა და უნარები და არა კომპანიისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია. შესაბამისად, არ არსებობს ადვოკატ ნ. ლ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

5.14 შედეგად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის დ) ქვეპუნქტისა და ეთიკის კოდექსის 4.1 და 6.1 მუხლების საფუძველზე.

5.15 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №022/21 ადვოკატ ნ. ლ.-ის /სიითი№/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება.

   გადაწყვეტილებას თან ერთვის ბესარიონ ბოხაშვილის განსხვავებული აზრი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/

მესამე დისციპლინური კოლეგიის წევრის - ბესარიონ ბოხაშვილის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე (საქმე 022/22)

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, რომლებიც შედიან მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობაში და რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N022/22, ადვოკატ ნ. ლ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე. აღნიშნულ შედეგთან დაკავშირებით მაქვს განსხვავებული აზრი და მიმაჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტები საკმარისია იმისათვის, რომ ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.დ. მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“) 4.1 და 6.1 მუხლების დარღვევისათვის. ქვემოთ მითითებულია შესაბამისი დასაბუთება.

1. დასახელებულ საქმეში ორივე მხარე ადასტურებს, რომ ნ. ლ. წლების განმავლობაში საადვოკატო მომსახურებას უწევდა შპს „ნ. ბ.“-ს და ის წარმოადგენდა კომპანიის ერთადერთ იურისტს, რომელსაც ევალებოდა კომპანიის სახელით ხელშეკრულებების მომზადება; პრობლემურ კლიენტებთან ურთიერთობა და სხვადასხვა საპროცესო

მოქმედებების შესრულება. ადვოკატი ნ. ლ. წარმოადგენდა იმ პიროვნებას, ვინც სამართლებრივ კონსულტაციას უწევდა კომპანიას; შეიმუშავებდა მოვალეთაგან სესხის ამოღების სტრატეგიას და მოქმედებდა კომპანიის ინტერესების შესაბამისად, მათ შორის პროცესუალურ მოქმედებებს ახორციელებდა სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ განცხადებების წარდგენის გზით და სხვა. ადვოკატის საქმიანობის შინაარსისა და თავისებურებიდან გამომდინარე შეუძლებელია მას არ სცოდნოდა ისეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც შეეხებოდა კომპანიის სტრატეგიას სესხის ამოღების შესახებ. ადვოკატისათვის ცნობილი იყო მ. თ.-ის შესახებაც, რომელსაც ნ. ლ.-ის კომპანიაში მუშაობის დროს სასესხო ვალდებულება გააჩნდა კომპანიის მიმართ. კოლეგიის მიერ საქმის განხილვისას დადგინდა, რომ ნ. ლ. მ. თ.- ს საადვოკატო მომსახურებას უწევდა არა იმ სასესხო ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომელიც მსესხებელს გააჩნდა ადვოკატის კომპანიაში მუშაობის დროს, არამედ ადვოკატ ნ. ლ.-ის მიერ კომპანიასთან შრომითი ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებასთან დაკავშირებით, თუმცა ადვოკატმა ნ. ლ.-მა 2022 წლის 5 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას 2019 წლის დეკემბერში გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოეშობოდა მოთხოვნა მ. თ.-ის მიმართ, და კომპანიის წარმომადგენლები სთხოვდნენ სასამართლოში ან აღსრულების ეროვნულ ბიუროში კომპანიის წარმომადგენლობას, ის დაიცავდა შპს ,,ნ. ბ.”-ის ინტერესებს. დასახელებულ შემთხვევაში მიმაჩნია, რომ ნ. ლ.-ის ყოფილი კლიენტის - კომპანიის ინტერესები არსებითად ეწინააღმდეგება ადვოკატის ახალი კლიენტის - მ. თ.-ის ინტერესებს ერთმანეთთან არსებითად დაკავშირებულ საქმეებში. ორივე საქმე წარმოადგენდა სასესხო ვალდებულებიდან გამომდინარე სამოქალაქო დავას და იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატი ნ. ლ. წლების განმავლობაში იყო კომპანიის იურისტი, მას ორივე საქმეზე ჰქონდა ინფორმაცია და გარდა ამისა, კომპანიის საქმიანობის შესახებ ფლობდა ისეთ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რაც შეეხებოდა კლიენტებისგან თანხის ამოღების სტრატეგიას და საქმისწარმოების სპეციფიკას.

2. სანამ ადვოკატი ნ. ლ. დაიწყებდა მ. თ.-ისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევას, ის ვალდებული იყო ახალი კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევამდე შეეფასებინა ის რისკები, რაც დაკავშირებულია ინტერესთა კონფქლიტის წარმოქმნის საფრთხესთან, რამაც შესაძლოა როგორც ნდობის პრინციპის დარღვევის, ისე კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე შექმნას. მნიშვნელოვანია მითითება ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით „ინტერესთა კონფლიქტი შესაძლებელია წარმოიშვას, როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ. ადვოკატს მთელი რიგი ვალდებულებები აკისრია, როგორც არსებული, ისე ყოფილი კლიენტების მიმართ, რაც ადვოკატის მიმართ ნდობასა და კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას უკავშირდება. მით უფრო, რომ ადვოკატს ყოფილი კლიენტის მიმართ, საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტის მიუხედავადაც გააჩნია კონფიდენციალური ინფორმაციის და ნდობის დაცვის პრინციპი. ინტერესთა კონფლიქტი კი სწორედ ამ პრინციპების დარღვევას უკავშირდება“ (ეთიკის კომისიის 2021 წლის 04 მარტის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N082/20, ი. კორძახიას განსხვავებული აზრი).

3. „ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე იმისა, რომ კლიენტის წარმომადგენლობაზე არსებით და საწინააღმდეგო გავლენას იქონიებს ადვოკატის პირადი ინტერესები ან მოვალეობები სხვა არსებულ კლიენტთა, ყოფილ კლიენტთა ან მესამე პირთა მიმართ. ინტერესებში იგულისხმება ის სარგებელი ან

უპირატესობა, რომლის მიღებაც ან დაცვა სურს პირს, რაც დაკავშირებულია პირად ან საქმიან ურთიერთობებთან, ფინანსურ ან ქონებრივ ინტერესებთან. ინტერესთა კონფლიქტი ისეთი შემთხვევაა, რაც ეწინააღმდეგება არსებული ან ყოფილი კლიენტების ინტერესებს ან აურესებს მათ მდგომარეობას. ადვოკატთა პროფესიული ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, მიზნად ისახავს, საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, დაამკვიდროს ქცევის შესაბამისი სტანდარტები“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N164/18).

4. ზემოაღნიშნული ერთობლივად და ცალ-ცალკეც ავალდებულებს ადვოკატს, რომ განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდოს ყოფილი კლიენტის ინტერესებს და განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს ახალ კლიენტთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისას.

5. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი ნ. ლ. წარმოადგენდა ჯერ კომპანიის ინტერესებს, ხოლო მოგვიანებით კომპანიის მსესხებლის - მ. თ.-ის ინტერესებს, ისეთ საქმეში რომელიც არსებითად უკავშირდებოდა მანამდე ნ. ლ.-ის მიერ კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ განხორციელებულ წარმომადგენლობას. ნ. ლ.-ისათვის, როგორც კომპანიის იურისტისათვის ცნობილი იყო ის ხერხები და სტრატეგიები რასაც კომპანია მიმართავდა მსესხებელთაგან თანხის ამოღების პროცესში. ადვოკატის ქმედება წარმოშობდა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს, რომელიც ადვოკატის მიერ არ იქნა თავიდან არიდებული. შესაბამისად, განსხვავებული აზრის 1-4 პუნქტებში ასახული მსჯელობის გათვალისწინებით, ადვოკატის განმარტება იმის თაობაზე, რომ მის მიერ მ. თ. -ის წარმომადგენლობისას ის აღარ იყო კომპანიის თანამშრომელი; მ. თ.-ს სასესხო ვალდებულება წარმოეშვა ნ. ლ.-ის მიერ კომპანიასთან საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ და ნ. ლ.-ს მისი ფუნქციებიდან გამომდინარე არ ჰქონდა წვდომა კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, რის გამოც ის ვერ დაარღვევდა ეთიკის სტანდარტებს, ვერ იქნება გაზიარებული.

6. განსახილველ შემთხვევაში, მ. თ.-ისათვის წარმომადგენლობის დაწყებისას, ადვოკატ ნ. ლ.-ისათვის ცნობილი იყო კომპანიასა და მ. თ.-ს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების არსებობის თაობაზე. ადვოკატს ჰქონდა შესაძლებლობა დაკავშირებოდა ყოფილ კლიენტს ინფორმაციის მიღების მიზნით და დაეზუსტებინა კომპანიის პოზიცია ნ. ლ.-ის მიერ მ. თ.-ისათვის წარმომადგენლობის გაწევის შესახებ, რაც ადვოკატს არ გაუკეთებია.

7. აღნიშნულ გარემობებში, ადვოკატ ნ. ლ.-ს არ უნდა გაეფორმებინა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება მ. თ.-სთან, თავი უნდა აერიდებინა მისთვის კონსულტაციის გაწევაზე სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით და შემდგომში არ უნდა განეხორციელებინა მისი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული ქმედებები.

8. განსახილველ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ლ.-ს წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი მ. თ.-ის წარმომადგენლობის განხორციელების დაწყებისას შპს „ნ. ბ.“-ის საქმესთან მიმართებით, რადგან კომპანიისა და მსესხებლის - მ. თ.-ის ინტერესები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს და წარსულში, მსგავს საქმეებში ნ. ლ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა კომპანიას და მისთვის, როგორც ადვოკატისთვის ცნობილი იყო კომპანიის სტრატეგია და პოლიტიკა, რომლითაც ის ხელმძღვანელობდა მსესხებლებთან ურთიერთობისას. შესაბამისად, ადვოკატი ფლობდა კომპანიის შესახებ კონფიდენციალურ

ინფორმაციას და მის მიერ მ. თ.-ის წარმომადგენლობა საფრთხეს უქმნიდა ძველი კლიენტის მიმართ ნდობისა და კონფიდენციალობის პრინციპების დაცვას.

შედეგად მიმაჩნია, რომ განხილვის კოლეგიას უნდა მიეღო გადაწყვეტილება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 5.7 მუხლისა და 38-ე მუხლის საფუძველზე ადვოკატ ნ. ლ.-ის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.დ. მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1 და 6.1 მუხლებით დადგენილი ქცევის სტანდარტების დარღვევის გამო.

ბესარიონ ბოხაშვილი

ეთიკის კომისიის წევრი